სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

01 ოქტომბერი, 2024 წ.

ბრძანება № 01-02/174

ბსუ-ს სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე 2024-2025 სასწავლო წლისათვის მიღების გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, **„პირის სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის** დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 01 ივლისის №113/ნ ბრძანების, „2024–2025 სასწავლო წლისათვის ბსუ-ს სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები კონტიგენტის განსაზღვრის შესახებ” **ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 12 სექტემბრის №06–01/68 დადგენილების,** ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანის 2024 წლის 01 ოქტომბრის №1249468 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. 2024-2025 სასწავლო წლისთვის გამოცხადდეს მიღება საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე.
2. აპლიკანტთა რეგისტრაცია განხორციელდეს **2024 წლის 02 ოქტომბრიდან 03 ოქტომბრის** ჩათვლით, ბსუ-ს მე-2 კორპუსში, №213 ოთახი, 09:00 სთ-დან 17:00 საათამდე (მისამართი: ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქუჩა 32/35).
3. აპლიკანტმა რეგისტრაციისთვის უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) განცხადება და ანკეტა (შევსებული **№1 დანართის** და **№2 დანართის** შესაბამისად);

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ბაკალავრის/მაგისტრის და/ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომისა და დანართის დამოწმებული ასლი (ბსუ-ს კურსდამთავრებულისათვის უნივერსიტეტის საქმისწარმოების სამსახურის მიერ, ხოლო სხვა შემთხვევაში - ნოტარიულად დამოწმებული ასლი, 2024 წლის კურსდამთავრებულთათვის - ცნობა აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე);

დ) ფოტოსურათი, ზომით 3X4–ზე;

ე) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირებისთვის).

ვ) ცნობა საგანმანათლებლო ინსტიტუციებიდან (სკოლები, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები და ა.შ.), დღის ცენტრებსა და ანალოგიურ დაწესებულებებში სწავლების არანაკლებ 2-წლიანი გამოცდილებით.

ზ) ინფორმაცია საბაზო პროფესიული უნარების გამოცდის ჩაბარებისა და მიღებული ქულის შესახებ (ამონარიდი სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ელექტრონული პორტალიდან).

4. **მისაღები გამოცდა ჩატარდეს 2024 წლის 4 ოქტომბერს, წერითი ფორმით** (მაქსიმალური შეფასება 100 ქულა, მინიმალური ზღვარი 51 ქულა), ბსუ-ს საგამოცდო ცენტრში (ბათუმი, ფიროსმანის ქუჩა №12), გამოცდის დაწყების დრო - 10^{00} სთ, დასრულების ვადა 13^{00} სთ.

4.1. გამოცდის შედეგები გამოცხადდეს 2024 წლის 4 ოქტომბერს (აპლიკანტების პირადი ნომრების მითითების გარეშე).

5. მისაღები გამოცდის საბოლოო შედეგების დაინტერესებულ მხარეთათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის შემდეგ, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის/სასწავლო პროცესის დეპარტამენტის მიერ **შეიქმნას რანჟირების დოკუმენტი**, სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობისა და აპლიკანტთა მიერ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრულ გამოცდაში მიღებული ქულის შესაბამისად.

6. სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ პირებთან **ხელშეკრულებები გაფორმდეს 2024 წლის 05 ოქტომბერს, არაუგვიანეს 13:00 საათისა** (ქ. ბათუმი, ნინოშვილის №35, ბსუ-ს პირველი კორპუსი, მცირე სპორტული დარბაზი), მიმღები კომისიის ორგანიზებით.

7. ბსუ-ში ჩარიცხვის აქტი გამოიცეს რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე, სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ პირებთან ხელშეკრულებების გაფორმებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

8. შეიქმნას აპლიკანტთა განცხადებების მიმღები და საგამოცდო კომისიები **№3 დანართის** შესაბამისად.

9. წინამდებარე ბრძანებით შექმნილმა კომისიებმა განახორციელონ თავიანთი უფლებამოსილებები ,,პირის სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 1 ივლისის №113/ნ ბრძანების და წინამდებარე ბრძანების შესაბამისად.

10. ბსუ-ს სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ **ბსუ-ს რექტორის ბრძანება გამოიცეს არაუგვიანეს 2024 წლის 5**

ოქტომბრისა, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის მიერ წარმოდგენილი სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე.

11. წინამდებარე ბრძანების აღსრულების მიზნით ბსუ-ს სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა/ფაკულტეტის ადმინისტრაციამ უზრუნველყოს:

ა) პროგრამაზე მიღების შესახებ განცხადების ტექსტის მომზადება და გამოცდის ჩატარების ფორმატისა და სხვა დამატებითი ინფორმაციის ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსების ორგანიზება;

ბ) პროგრამაზე ჩარიცხვის ბრძანების საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და განათლების მართვის საინფორმაციო ცენტრში გაგზავნის კოორდინაცია, არაუგვიანეს **2024 წლის 7 ოქტომბრის**ა.

12. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს ბრძანება განათავსოს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში „განცხადებებში", რექტორის ბრძანებებში და ასევე ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ველში).

13. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

14. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი,
პროფესორი **მერაბ ხალვაში**

,,ბსუ-ს სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე
2024-2025 სასწავლო წლისათვის მიღების გამოცხადების შესახებ''
ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 01 ოქტომბრის №01-02/174 ბრძანების

დანართი 1.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
რექტორს, _____

_____

(აპლიკანტის სახელი, გვარი და პირადი ნომერი)

_____

(მისამართი, ტელეფონი, ელ. ფოსტა)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სურვილი მაქვს სწავლა გავაგრძელო საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე.

_____ „_____“ „_____“ 2024 წელი

განმცხადებლის ხელმოწერა

,,ბსუ-ს სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე
2024-2025 სასწავლო წლისათვის მიღების გამოცხადების შესახებ''
ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 01 ოქტომბრის №01-02/174 ბრძანების
დანართი 2.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის
აპლიკანტის ანკეტა

სახელი ----------
გვარი ----------
დაბადების თარიღი ___/____/_____
რიცხვი თვე წელი
პირადი ნომერი_____
ფაქტობრივი მისამართი ----------
რეგისტრაციის მისამართი ----------
სქესი: □ მამრობითი □ მდედრობითი
მობილური/ტელეფონი ----------
ელ-ფოსტა: ----------

ფაკულტეტი ----------
საგანმანათლებლო პროგრამა ----------

სამუშაო გამოცდილება:
დაწესებულება ----------
პოზიცია ----------
ხანგრძლივობა ----------

საბაზო პროფესიული უნარების გამოცდა (ჩაბარებული გამოცდების ეროვნულ ცენტრში) ----------

მიღებული განათლება :

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	ფაკულტეტი, საგანმანათლებლო პროგრამა	კვალიფიკაცია	სწავლის პერიოდი

რომელ ენებს ფლობთ?

_____

_____

ამჟამად ხართ თუ არა რომელიმე უმაღლესი/ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი/მასწავლებელი? (დადებითი პასუხის შემთხვევაში, მიუთითეთ შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულება და სტატუსი)

_____

_____

ვადასტურებ მითითებული ინფორმაციისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისწორეს. ჩემთვის ცნობილია სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღებისა და სწავლის პირობები.

_____

(აპლიკანტის ხელმოწერა)

_____

(რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა) *თარიღი*

,,ბსუ-ს სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე
2024-2025 სასწავლო წლისათვის მიღების გამოცხადების შესახებ''
ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 01 ოქტომბრის №01-02/174 ბრძანების

დანართი №3

ბსუ-ს სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა დოკუმენტაციის მიმღები კომისია

1. მაია მაღულარია - ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანის ოფისის სპეციალისტი;
2. ქეთევან თადუმაძე - ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დარგობრივი დეპარტამენტის სპეციალისტი;

სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები საგამოცდო კომისია

1. ნატო შეროზია - ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - კომისიის თავმჯდომარე;
2. მარინე გურგენიძე - ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - კომისიის მდივანი;
3. ნანი მამულაძე - ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი -კომისიის წევრი;
4. ლელა თავდგირიძე - ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის პროფესორი - - კომისიის წევრი;
5. ნანა მაკარაძე - ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის პროფესორი - კომისიის წევრი;
6. მადონა მიქელაძე - ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი -კომისიის წევრი;